საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/30 " 23 " მარტი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ი. ბონდარენკოსათვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ამირან ძაბუნიძე, რომელიც იმავდროულად დანიშნული იყო ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2021 წლის 29 დეკემბერს. ვინაიდან, აღნიშნული სასამართლოს დატვირთულობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით სასამართლოში თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, თავმჯდომარის დანიშვნამდე თავმჯდომარის უფლებამოსილების ერთ-ერთი მოსამართლისათვის, კერძოდ ირაკლი ბონდარენკოსათვის დაკისრების თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრების მიერ. ირაკლი ბონდარენკოს აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება, იგი იყო სიღნაღის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ირაკლი ბონდარენკოს დაეკისროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2022 წლის 24 მარტიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე